მარიამ ოქრუაშვილი, ელენე დავითაშვილი

ვეჩტას უნივერსიტეტი, გერმანია

8-12 ივნისს, გერმანიის ქალაქ ვეჩტაში Erasmus+-ის პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანმა და მარკეტინგული კომუნიკაციების მენეჯერმა ელენე დავითაშვილმა, მონაწილეობა მიიღეს როგორც აკადემიურ აქტივობებში, ისე კულტურულ და საგანმანათლებლო პროცესებში, ვეჩტას უნივერსიტეტში, გერმანია.

პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ქალაქ ვეჩტას ისტორიას, ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს.

ასევე, გაიმართა ინტერაქციული დისკუსიები აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დაგეგმილ ადმინისტრაციულ აქტივობაში, რამაც გააღრმავა მათი ურთიერთობები საერთაშორისო თავლსაზრისით.

ვიზიტის მიზანი იყო უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების, აკადემიური პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთი უნივერსიტეტები, გაცვალეს ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემებსა და ინსტიტუციურ სპეციფიკებზე რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებას და აღრმავებს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან.